

ახალი თაობა

akhaitaoba.ge



ლანჩხუთის სოფელ აკეთში გორა ქანთარია თაპი მოიქლა

სენაკის ბაზაზე 21 წლის ჯონი ახალია თაპი მოიქლა



„ნაციონალური დანარჩენი მოქმედების გააქტიურება“



რამაზ საყვარელიძე:
„გიორგი მარგველაშვილი ყოველთვის მორალურად, შინაგანად მართალი ადამიანი იყო... დღეს მისი ქცევის ახსნა მიჭირს“



„მარგველაშვილი ნაცმოძრაობას უერთდება“

„უკრაინა ჩვენთან გააფიო პოზიციის დაფიქსირებას ითხოვს“



ვახტანგ მეგრელიშვილი:
„უკრაინისა და საქართველოს მდგომარეობა იდენტურია და ჩვენ ამ ბრძოლაში ერთად არა ვართ“



„სანავაზე ფასი არ დაიკლებს“
ოთო აბესაძე:
„ჩვენი ქვეყნის პრობლემა ინფლაციაა და არა გაზრდილი ფასები“

პრემიერის გადაწყვეტილებით, სოსილურად დაუსველი ბავშვების დახმარება 1 ივნისიდან 150 ლარამდე გაიზარდება
პოლიციელებისთვის 1.000-ბინიანი ქალაქი აშენდება



„ევროკომისიის კითხვარის შევსებას საზოგადოების ჩართულობა სჭირდება“



ომი და სანქციები საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება

მამუკა გიორგაძე: „საქართველოსთვის პროგრესულ ჯგუფებზე უფრო საშიში ის რუსული აგენტურაა, რომელიც ყალბ დასავლურ დროშას აფრიალებს“

10 რეკომენდაცია მთავრობას ეკონომიკის საკითხებზე



3 ანა ნასვლიშვილი: „სტაფანდუკა გვთხოვა, საქართველომ სანქციაზე იმსჯელოს“

5 სარხარაპი პოლიციის უნებმიდან დაკითხვაზე მყოფი ბრალდებული გადმოსება

5 „ლაზუნა ვერსთან“ მომხდარი განხრახ მკვლელობის საქმეზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

6 მარიუპოლში უკრაინამ რუსეთის წინსვლა შეაწინააღმარა



„უკრაინა ჩვენთან მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას ითხოვს“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „უკრაინისა და საქართველოს მდგომარეობა იდენტურია და ჩვენ ამ ბრძოლაში ერთად არა ვართ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ვახტანგ მეგრელიშვილი პასუხობს.



– ბატონო ვახტანგ, გასული კვირის ბოლოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში იყო ჩასული, მათ შორის თქვენც. როგორ შეაფასებთ ამ ვიზიტს? რამდენად დროული და მნიშვნელოვანი იყო კვიცში ჩასვლა, როდესაც ორ ხელისუფლებას შორის ასეთი დაძაბულობა და გაუგებრობა არსებობდა?

– მართლაც მნიშვნელოვანი დელეგაცია იყო. უკრაინაში ამხელა დელეგაცია ჯერ არც ერთი ქვეყნიდან არ ჩასულა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტი სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, რომლებიც თქვენ დაასახელეთ. ყველას ესმის, რომ უკრაინისა და საქართველოს მდგომარეობა იდენტურია და ჩვენ ამ ბრძოლაში ერთად არა ვართ, უფრო სწორად, ამას უკრაინელები ასე ვერ აღიქვამდნენ და ეს ძალიან უხერხულია.

– რა შეფასებები გაუზიარებთ უკრაინის მხრიდან? რამდენად გამოხატონი იყო ვიზიტი ორი ქვეყნის ხელისუფლებებს შორის სიტუაციას?

– ძალიან თბილი დახვედრა იყო. კვიცში რომ ჩავიდეთ, მთელი ჩვენი განრიგი წუთებით განერილი დაგვხვდა. უსაფრთხოების ზომებიც უმაღლეს დონეზე იყო გატარებული. პირველი შეხვედრა რადაში გვეკონდა, უკრაინელმა დელეგაციამ უშუალოდ დაღიად გვიხილეს, რომ ჩვენ, უკრაინა და საქართველო, ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვართ. მათ ჩვენი ძალიან კარგად ესმით, მართლაც მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას ითხოვენ ჩვენგან. გეტყვით, რომ ეს ვიზიტი კარგი დასაწყისია. დანარჩენი ამ ორი ხელისუფლებების ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ბის ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ჩვენ ჩვენი სათქმელი ვთქვით და ჩვენი ხალხის მხარდაჭერა გადავეციტ უკრაინელებს. ჩვენ შეიძლება იარაღით ვერ ვეხმარებოდეთ უკრაინელებს და უფრო თამაშები ვერ ვიყავით, რადგან ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესისაა სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე უკრაინის, თუმცა ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს, იმავე დასავლეთის ინტეგრაციის გზაზე შეგვიძლია, ყინულმჭრელის როლი შევასრულებინოთ უკრაინას. უკრაინისთვის ამ გზის გავლა, დარწმუნებული ვარ, ბევრად მარტივი იქნება ომში გამარჯვების შემდეგ, ვიდრე საქართველოსთვის.

– რაზე ისაუბრეს პარლამენტის თავმჯდომარეებმა? არის იმის მოლოდინი, რომ ელჩი დააბრუნოს უკრაინამ საქართველოში?

– ამ საკითხზე საჯაროდ საუბარი არ ყოფილა. სპიკერებმა დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს ერთი ერთზე და საუბრის დასრულების შემდეგ ორივე კმაყოფილი ჩანდა.

– ამ ვიზიტს ოპოზიციიდან არ შემოუერთდა ნაციონალური მოძრაობა, რის გამოც სერიოზული კრიტიკა დაიმსახურეს საზოგადოების მხრიდან. რამდენად სწორი იყო მათი გადაწყვეტილება?

ეების მხრიდან. რამდენად სწორი იყო მათი გადაწყვეტილება?

– ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ის, რომ ამ პროცესში არ მიიღეს მონაწილეობა. როგორც იქნა, ხელისუფლება მივიყვანეთ ამ გადაწყვეტილებამდე და ბოლოს ნაცმოძრაობა გამოაკლდა. ჯერ ხელისუფლება არ მოდიოდა, თავიდან სპიკერმა თქვა უარი, როგორც იქნა, შევეჯერდით და გადაწყვიტეს, რომ თვითონ აღარ წამოსულიყვნენ. ეს არის ჩვენი შიდაბრძოლის კვიცში გადატანის მცდელობა როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე „ქართული ოცნების“ მხრიდან. ისინი ყველა ფრონტზე იბრძვიან და მათგან გასაკვირი არაფერია. მთავარია, რომ მოხერხდა, სრული ოპოზიციური სექტორი კვიცში იყო და ეს შიდაბრძოლა იქ არ გავიხსენებია.

– კარგია, რომ შეცვალა პარლამენტის თავმჯდომარე პოზიცია და დაიგეგმა ეს ვიზიტი. თავიდან სულ სხვა განცხადებებს ვისმენდით.

– „ქართულმა ოცნებამ“ თავისი პოზიცია გამოასწორა, იმავენიარად რომ მოქცეულიყო ნაციონალური მოძრაობაც, ჩემი აზრით, იდეალური ვიზიტი იქნებოდა ამ დაძაბულ დროს უკრაინაში. თუმცა ვიზიტის მნიშვნელობა მაინც ძალიან დიდია.

– უფრო მალაღონი დონის ვიზიტზე ხომ არ ყოფილა საუბარი, პრემიერ-მინისტრის ვიზიტზე ხომ არ იგეგმებოდა უკრაინაში?

– არა, მსგავსი საუბარი ამ ვიზიტისას არ ყოფილა.

– ბატონო ვახტანგ, რამდენად მძიმე სურათი და ვითარება დაგვხვდა უკრაინაში? ჩვენ ყველაფერს თვალს ვადევნებთ საინფორმაციო საშუალებებით, მაგრამ საკუთარი თვალით ნახი და აღქმული მაინც სხვაა.

– ეს ადამიანის სუბიექტური აღქმის საკითხია, როგორ შეაფასებ. ჩემზე უფრო მეტად

იმოქმედა არა იმ ნაგრევეების ნახვამ, არამედ, უკრაინელების ზოგადმა განწყობამ, მათმა მოტივირებულობამ, რომ ეს ბრძოლა მიიყვანონ გამარჯვებამდე. ჩემთვის ეს ემოციურად უფრო მნიშვნელოვანი იყო. ქუჩები უკვე იწმინდებოდა, გააქვთ ნაგრევეები, ისეთი შემართება აქვთ, რომ რა გითხრათ, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება იმ ადგილებში, საიდანაც ოკუპანტები გაყარეს. როდესაც ფოტოზე ნახულობ ნგრევას, ეს უფრო დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ მალე ეს ნაგრევეები აღარ იქნება უკრაინელების შრომის შედეგად. რუსებმა ეს ადამიანები აწამეს, ზოგი დახოცეს, რაღაც საშინელებები ჩადიდნეს, მაგრამ ამის გამო უკრაინელებს არ რაიმე შეთანხმება და უკან არ დაუხევიათ. რადგან ეს ადამიანები ერთხელ არ შეშინდნენ, არ გაიქცნენ და არ დანებდნენ რუსებს, უბრალოდ, ძელი წარმოსადგენია, რომ მომავალში ოდესმე იგივე მოხდეს. საერთოდ გაქრნენ უკრაინაში პრორუსული ძალები. ზოგადად ემოციური ფონიც ისეთია, ზელენსკიც ვერ გაბედავს იმის თქმას, რომ, სიტყვაზე, პუტინთან რაიმეზე შეთანხმება. ამ ხალხში საბრძოლო განწყობა და ისინი დანებებას არ აპირებენ.

– როგორ განწყობით დაბრუნდა ზელი-სუფლემ საქართველოში, გადასადგება და გამოსწორდება ურთიერთობები?

– ეს ვიზიტი სიტუაციის გადასაგების საშუალებას იძლევა. კი, წარსულში რაღაცები იყო, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ვვირთოთ რამ უკვე ერთად ვაკეთეთ. ჯერ არ ვიცი მთავრობის პოზიცია, რას გეგმავენ, რის გაკეთებას აპირებენ. ჩვენ უნდა ავანყოთ ურთიერთობები უკრაინასთან და ვეროპასთან ინტეგრაციის გზა ერთად უნდა გავიაროთ, გზა, რომელიც წარსულზე კი არა, მომავალზე ორიენტირებულია. ჯერ ამას ვერ ვხედავ ხელისუფლების მხრიდან. იმედა, დაიწყებენ ამაზე ფიქრს და ეს უკრაინასთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყების საშუალებას მოგვცემს.

„მარგველაშვილი ნაცმოძრაობას უპირთდება“

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა პოლიტიკაში დაბრუნება ჯერ კიდევ 2020 წელს დააანონსა, თუმცა მას არ განუმარტავს, რა ფორმითა და ვისთან ერთად გეგმავენ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას.

ახლა კი, როგორც ცნობილი გახდა, მარგველაშვილის პოლიტიკური გზა ნაციონალურ მოძრაობასთან გადაიკვეთა, იმ დაპირებით, რომ 2024 წლის საპარლამენტო სიაში ის გარანტირებულად ადგილს დაიკავებს.

ამის შესახებ ინფორმაციას „პრაიმტაიმს“ პოლიტიკის ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე აწვდის.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, მარგველაშვილი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ პარტიას უახლოეს მომავალში ოფიციალურად შეუერთდება.

– გიორგი მარგველაშვილმა პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა. მან შეარჩია პოლიტიკური ჯგუფი, რომელთან ერთადაც პოლიტიკურ საქმიანობას გააგრძელებს, ეს პარტია ნაციონალური მოძრაობაა. მისი სხვა პარტიასთან თანამშრომლობა გამორიცხულია, –

განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

ძაბირაძის განცხადებით, მარგველაშვილი კომპრომისზე წავიდა, რადგან მისთვის ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები მისაღები არ არის.

– მას სურს, გარანტირებული ჰქონდეს 2024 წლის არჩევნებში ადგილი. დაპირებაა, რომ ის 2024 წლის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაში ადგილს დაიკავებს. ის კომპრომისზე წავიდა, რადგან მისთვის ნაცმოძრაობაში ყველაფერი მისაღები არ არის. გიორგი მარგველაშვილს საშინაო ფლანგზე არანაირი მნიშვნელოვანი პოლიტიკური

წონა არა აქვს. მას აქვს ქვეყნის გარეთ პოლიტიკური წონა არა პერსონალურად, არამედ, როგორც მეოთხე პრეზიდენტი, – განაცხადა ძაბირაძემ.

ცნობისთვის, გიორგი მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრებთან ერთად უკრაინაში პირველად გამოჩნდა.

მისი თქმით, უკრაინაში ვიზიტი მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა. მარგველაშვილთან ერთად უკრაინაში იმყოფებოდნენ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია და პარტიის წევრები: ეკა ხერხეულიძე და კობა ნაყოფია.

პრემიერის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუსველი ბავშვების დახმარება 1 ივნისიდან 150 ლარამდე გაიზარდება

– ერთი წლის წინ, ჩემი გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუსველ ბავშვებს დახმარება გაჯორმაგეთ. მანამდე იყო 50 ლარი და გახდა 100 ლარი; მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დახმარება გახდეს 150 ლარი.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ამ მიმართულებით ჯამური ბიუჯეტი წელს 341 მლნ ლარი იქნება და დახმარება მომავალ წელსაც გაგრძელდება.

მისივე თქმით, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 1 ჰა-ზე 300 ლარით, სუბსიდიის მიღებენ 0.25 ჰექტრიდან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მისი მესაკუთრეები, თანამესაკუთრეები და ბენეფიციარს შეეძლება, მიიღოს ეს სუბსიდია.

– მათ დაერიცხებათ სპეციალურ აგრობარათზე აღნიშნული დახმარება, სუბსიდიის ქულების სახით და შეეძლება, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა საგარეო ვაჭრობის ზრდის მალაღ ტემპზე და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ზრდაა ტურიზმის მიმართულებითაც.

ინყება განვადებით მშენებლობის მასშტაბური პროგრამა.

ირაკლი ლარიაშვილის თქმით, იგეგმება 800 სკოლის მოწესრიგება, მათ შორის, აშენდება 80 ახალი სკოლა, აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით აშენდება 90 საბავშვო ბაღი და რეაბილიტირდება 412.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პოლიციელებისთვის 1.000-ბინიანი პოლიციის ქალაქი აშენდება.

პოლიციელებისთვის 1.000-ბინიანი ქალაქი აშენდება

– ბატონი ვახტანგის იდეა იყო, რომ აღნიშნული პროექტი ჯიქიას ქუჩაზე განხორციელდეს, სადაც განთავსებული იყო პოლიციის სპეცდანიშნულების ბაზა. აღნიშნულ ბაზას სხვა ადგილზე გადავიტანთ და ამ ადგილზე 1.000-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი აშენდება. – განაცხადა ირაკლი ლარიაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით. პრემიერმა გამოყო სპეციალური ოპერაციების ძალების ახალი, თანამედროვე ბაზის მშენებლობა, საუბარია ე.წ. მუხროვანის ბაზაზე, სადაც მასშტაბური სამუშაოები წელსვე დაიწყება.

ასევე იგეგმება სამხედრო მუხრუმის კონცეფციაც მუშაობის დაწყება, რომელიც კოვიდპანდემიის გამო დროებით შეჩერდა და ეს პროექტიც მია ბოლომდე.

მთავრობა მასშტაბურ პროექტს ინყებს დევნილების ბინებით უზრუნველყოფის მიმართულებითაც. როგორც პრემიერმა აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ათასობით დევნილს დაუკონდა და გადაეცა ბინები, მათ შორის „სოფლად სახლის“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შეუძინა სახლები, გამოწვევა ჯერ კიდევ დიდია და ძალიან ბევრი, ათასობით დევნილს ჯერ ისევ არ აქვს ბინა.

გარდა ამისა, დაგეგმილია, ყველა მუნიციპალიტეტში

მომდევნო 3 წელიწადში დასრულდეს წყალმომარაგების პროექტი და 24-საათიანი წყალმომარაგება ჰქონდეს ყველა მუნიციპალიტეტს, ყველა ქალაქს.

ირაკლი ლარიაშვილის განცხადებით, ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტი იქნება სპორტი და კულტურა; საჭირო პროექტები გავლენა მიიქონებს თეა წულუკიანთან და მელია ქვეყნის მასშტაბით დაიწყება ყველა თეატრის რეაბილიტაცია, ასევე, ყველა მუნიციპალიტეტში აშენდება სპორტული კომპლექსი.

პრემიერმა განსაკუთრებით გამოყო შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუხრუმში, რომელიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და აღნიშნა, რომ მუხრუმის შენობის რეაბილიტაცია წელსვე დაიწყება, ეს არის მთავრობის სურვილი.

ამასთან, პრემიერის განცხადებით, ორთაჭალაში აშენდება ეკონომიკის სამინისტროს ახალი შენობა, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდება საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობას.

– ყველაზე მეტად მახარებს ჩვენი განათლების პროექტი – 800 სკოლა უნდა იყოს ევროპული სტანდარტის მიხედვით აშენებული და რეაბილიტირებული. კიდევ ერთხელ მინდა მოგინო, ბატონო, და ქალბატონებო, აქტიური მუშაობის, ჩვენ ახლა გვეჭირდება მაქსიმალური მობილიზება იმისათვის, რომ ყველა ეს პროექტი, ამბიციური გეგმა ძალიან მოკლე ვადებში შევასრულოთ, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამომცემი: **საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ფონდი**

1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – **სოფია გოცინაშვილი**

რედაქტორი – **ლალი ახლანიშვილი**

საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ფონდი – ვლარა ბლაგოვი

სარედაქციო საზოგადოების განვითარების ფონდი – 599-532-690

დირექტორი – **ზურაბ ბერიძე**

გაფრთხილების საზოგადოების განვითარების ფონდი – მერაბ ლეფერაშვილი

გვებეჭერდი: **akhali.taoba.ge**

ელ-ფოსტა: **axtaoba@gmail.com**

ტელეფონი: **599-532-690**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რევიზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს ატვთვს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



„ნაციონალური დანარჩენი ოპოზიციის გააქვნიერება“

ნათია სურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, უკრაინიდან დაბრუნებული დეპუტატმა ხათუნა სამინიძემ განაცხადა, რომ უკრაინის საკითხი საჯაროდ კვად გადაიქცა, რაც პრობლემას უქმნის ქვეყნის იმიჯს. ნაციონალური მოძრაობის უკრაინაში ცალკე ვიზიტს, მათ ქვეყანა რით ხსნიან?

– ნაციონალური მოძრაობის ქცევის ახსნა ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ძალიან მიჭირს. პოლიტიკოსების ქცევა, როგორც წესი, შედეგზეა ორიენტირებული. პოლიტიკოსები ემოციებით იშვიათად მოქმედებენ. ვხედავთ, პუტინი როგორ მოქმედებს ემოციებით და როგორ აგდებს მთელ მსოფლიოს და საკუთარ თავსაც საშინელ დღეში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს შეჯიბრებასთან, უკრაინის სიყვარულში ვინ უფრო ძლიერია. ამის პროვოცირებას ახდენს ნაციონალური მოძრაობა, არადა, პოლიტიკა ემოციებისგან დაკლილი უნდა იყოს. როგორც ჩანს, მათი მთავარი მოტივატორი მათივე ამომრჩეველია, ამომრჩეველი, რომელიც ძალიან რადიკალურია და იმავე ქვეყანს ითხოვს პარტიის განაც. ამომრჩეველს კი ოქროს ფასი აქვს. ეს ამომრჩეველი არც რევოლუციას იტყვის უარს.

რამაზ საყვარელიძე: „გიორგი მარგველაშვილი ყოველთვის მორალურად, შინაგანად მართალი ადამიანი იყო... დღეს მისი ქცევის ახსნა მიჭირს“

თუ რევოლუციის სათავეში კვლავ მიხეილ სააკაშვილს დანახავთ. მე მხოლოდ ამ ახსნით შემოვიფარგლები, რადგან სხვა ინფორმაცია არ მაქვს.

– გამოდის, დანარჩენ ოპოზიციასაც გაემიჯნენ? ასე შეიძლება აღვიქვათ მათი გადამწყვეტილება?

– შეიძლება, ასევე აღვიქვათ. დიხს, ეს გამიჯვნაა, თუმცა ასეთი საგრძნობი შეიძლება დღესევე არ გახდეს. უკვე იხუმრა კიდევ ლევან იოსელიანმა „მოქალაქეებიდან“, რომ თუ ერთ პარლამენტში სხედან, ერთ თვითმფრინავში რაღა უჭირდათო, მაგრამ, თუ ერთ თვითმფრინავში გვერდგვერდ ალმონდებოდნენ, მაგალითად, შალვა პაპუაშვილი და ხატია დეკანოიძე, შეიძლება, ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველი დაეკარგა. ასეთი რადიკალურია მათი ამომრჩეველი.

რაც შეეხება ოპოზიციისგან გამიჯვნას, ერთ მხარეს ნაციონალური და მეორე მხარეს – დანარჩენი ოპოზიციის, შეიძლება, ეს მომხიბვლელი იდეაც კი იყოს იმ ამომრჩეველისთვის, რომელსაც არც ნაციონალური უნდა და არც „ოცნება“. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ხვალ და ზეგ ასეთი დიფერენცირება ალბათ არ მოხდება. ეს იდეა, ვფიქრობ, უფრო შორეული პერსპექტივაა. შეიძლება, დანარჩენი ოპოზიციის, მართალია, ძალიან რთულად, მაგრამ მაინც აცნობი-



რებდეს, რომ არ ღირს ამდენი შეცდომის დაშვება თუ განმეორება ნაციონალური მოძრაობის სურვილიდან გამომდინარე, ბიუჯეტები, პარლამენტში არ შესვლა თავის დროზე, მერე ისევ გადამწყვეტილების გადახედვა და ა.შ.

– თუ დანარჩენი ოპოზიციის ნაციონალურ მოძრაობას გაემიჯნება, ეს მათ ელექტორატს დააკარგვინებს თუ პირიქით?

– ნაციონალურ მოძრაობას თავისი ერთგული ამომრჩეველი ჰყავს, ამომრჩეველი, რომელიც ძალიან რადიკალურია და მათ გემოვნებას დღეს თვალსაჩინოდ ლევან ხაბეიშვილი გამოხატავს.

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციას, ერ-

ტიანობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ელექტორატის გაზრდა და ეს ელექტორატი ძალიან მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ასევე, შემიძლია გითხრა, თუ ისინი გაერთიანდებიან, მათ შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ ნაციონალურ მოძრაობას უკვე, როგორც მთავარ ოპოზიციურ ერთობას. ასეთი კონკურენციის შანსი ძალიან მაღალია, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში ხომ მთავარი პრობლემა თანხმობის მიღწევაა.

– გიორგი მარგველაშვილის გადამწყვეტილებას, რომ ნაციონალურად ერთად წასულიყო უკრაინაში, თქვენ რით ხსნიან? თუმცა მისი არგუმენტი საზოგადოებისთვის, რომ ეს იყო ორი პრეზიდენტის გადამწყვეტილება, ცნობილია.

– სიმართლე გითხრა, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის ქცევის ახსნა მიჭირს, ასევე მიჭირს გიორგი მარგველაშვილის ქცევის ახსნა, რომელსაც, როგორც იტყვიან, ბავშვობიდან ვიცნობ, შესანიშნავი ფსიქოლოგი ჰყავს დედა. გიორგი მარგველაშვილი ყოველთვის მორალურად, შინაგანად მართალი ადამიანი იყო. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დაუპირისპირდა და ახსულდა მიხეილ სააკაშვილს, მის მმართველობას, მმართველობის იმ სტილს, რომელიც იმ წლებში იყო. მერე დაუახლოვდა ბიძინა ივანიშვილს და უცებ გაიკვავა, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია განხეუტილების ვაშლად იქცა. მარგველაშვილის პრეზიდენტობის მეორე ნაწილი იყო „ქართულ ოცნებასთან“ ღია დაპირისპირება. დღეს, რასაც ვხედავთ, ის სიახლოვე, რომელსაც ის ნაციონალურად მიმართებდა ამჟღავნებს, სრული გაუგებრობაა. მე ამას ახსნას ვერ ვუძებნი. 2012 წლის სულისკვეთება ვერ თავსდება ამ რეალობასთან. ეს ყველაფერი გაურკვეველობას იწვევს. არც იმას გამოვიცხავ, რომ ის ამ ნაბიჯებში არ დგას იმ მნიშვნელობას, როგორც ეს გამოიყურება. ვერ გეტყვით. ის ყოველთვის ახერხებდა ვინაობარტოლოზზე, კინკლაძეზე მაღალ დადგომას, იმ ღირებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც ყოველთვის ჰქონდა. ამიტომ მიჭირს დღეს ამ ერთიანი, ლოგიკური ხაზის დანახვა.

ანა ნასვლიშვილი: „საქართველო გავიწყობა, საქართველომ სანქციები იმსჯელოს“

საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, „ლელოს“ წევრ ანა ნასვლიშვილის განცხადებით, უკრაინაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტისას ხაზი გაესვა იმას, რომ საერთაშორისო სანქციებისთვის გვერდის ავლისთვის საქართველო „შავი ზღვიდან“ არ გახდება. როგორც მან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს რუსულ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან წინააღმდეგ ბრძოლა სთხოვა.

– ხაზი გაესვა იმას, რომ საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლისთვის საქართველო „შავი ზღვიდან“ არ გახდება.

ბატონმა სტეფანოშვილმა ორი რამ გვთხოვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მან გვთხოვა, რომ საქართველომ იმსჯელოს ორმხრივ სანქციებზე,

სადაც ამის შესაძლებლობა დანახავს და მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი, მან გვთხოვა, საქართველომ გადადგას ნაბიჯები, რომლებიც უკრაინაში უკვე გადადგა, ეს რუსულ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლას ეხება, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს პარლამენტის 9 დეპუტატისგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ხელმძღვანელობდა, უკრაინაში 16 აპრილს ჩავიდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დელეგაციაში ვიცესპიკერები არჩილ თალაკვაძე, დავით სერგეენკო, ლევან იოსელიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ბექა ოდიშარია, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის დეპუტატები: ანა ნასვლიშვილი, ვახტანგ მეგრელიშვილი, ხათუნა სამინიძე და გიორგი ხოჯევანიშვილი შედიოდნენ.

„სანვაჰზე ფასი არ დაიკლებს“

ნონა ცაბაძე

ოთო აბესაძე: „ჩვენი ქვეყნის პრობლემა ინფლაციაა და არა გაზრდილი ფასები“

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ოთო აბესაძე პასუხობს.

– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? კითხვარი მივიღეთ ევროკავშირიდან და ამ კითხვარშიც ეკონომიკური საკითხები მეტად აქტუალურია. რამდენად ვსდებთ ევროპულ სტანდარტებში, ან თუ გვაქვს შანსი, სამომავლოდ ჩავსდეთ?

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით გასაჯაროებული არ არის ოფიციალური კითხვები, თუ რა ტიპისა და ჟანრის პარამეტრებია შესასრულებელი. თუმცა ეკონომიკური ნაწილი იქნება თავისთავად ხაზგასმული, ვინაიდან ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მთავარი გასაღებია. ჩვენ რომ გავხედოთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ერთგვარ ევროკავშირის მონეტარულ პოლიტიკაში, ერთგვარი მათ ეკონომიკურ სავაჭრო სივრცეში და მათ, თავის მხრივ, სჭირდებათ ძლიერი პარტნიორი და არა ასეთი ქვეყანა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი პარამეტრები იქნება ინფლაცია, მსყიდველუნარიანობა, ხელფასის საშუალო დონე და ასე შემდეგ.

– ბევრი ფიქრობს, რომ ეკონომიკურად იმდენად სუსტი ქვეყანა ვართ, ჩვენი ჯერ ევროკავშირი ადრეა. თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?

– ევროკავშირში მიღება და წევრობა არ არის ტექნიკური პარამეტრი, ეს არის პოლიტიკური აქტი. შესაბამისად, არც ალბანეთი იყო რამდენიმე წლის წინ ეკონომიკურად ძლიერი, დაახლოებით ჩვენი პარამეტრების ქვეყანა, თუმცა მიიღეს. აქ საუბარია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და არა ეკონომიკურ პარამეტრებზე. ამას მინდა, რომ ხაზი გაესვას.

– შეძლებს ჩვენი ხელისუფლება იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც ევროკავშირს ექნება?

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს რაიმე ბერკეტი განვირინებებზე ან კანდიდატის სტატუსი მინიჭებაზე. ეს დამოკიდებულია ევროკავშირის პოზიციაზე. საქართველომ უნდა იმუშაოს აქტიურად, თუმცა ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკური, რამდენად ჯდება ევროპულ გეო თუ ეკონომიკურ ინტერესებში. ამ



ექაპზე საქართველო უნდა იყოს და, წესით, არის გეოპოლიტიკური სტრატეგიული ლოკაცია ევროკავშირისთვის. ვნახოთ, ამას პოლიტიკა აჩვენებს, ეკონომიკა ამას ვერ წყვეტს. მე მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი ევროპასთან ინტეგრაცია დაჩქარდება. დღეს საქართველოს სატრანზიტო დერეფანი ყველასთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან რუსეთი ხდება სანქცირებული და საქართველო არის ერთ-ერთი მთავარი გზა იმისთვის, რომ ტრანზიტული ტვირთები ევროპამ შეუფერხებლად მიიღოს. სწორედ ახლა საჭირო ანაკლიის პორტი, რომელიც უნდა აშენებულიყო და არ აშენდა. ახლა მივიღებდით, ფაქტობრივად, იდეალურ ლოკაციას. ანაკლიის პორტი იქნებოდა ერთგვარი საკვირვო ბარათი და ვიზა საქართველოში ევროკავშირის ინტეგრაციის კუთხით, ნებისმიერ შემთხვევაში.

– უკრაინაში ვიზიტისას ხელისუფლებამ ღიად განაცხადა, რომ რუსეთისთვის ჩვენი ქვეყანაში ეკონომიკური შავი ზღვილები არ იქნება. რას ელით ამ კუთხით?

– ზოგადად ადამიანები სიტუაციებს ძალიან აბუქებენ. საქართველოს რა შეუძლია შესაფერის რუსეთს ეკონომიკის კონტექსტში, მაშინ როცა ჩვენ თვითონ მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული. მე სულ მომეყავს მაგალითები იმისთან დაკავშირებით. ეს იყო ყველაზე დიდი კომედია, რომელიც კი ნამიკითხავს და მომისმენია, რომ საქართველოს შეუძლია, სანქცირებული რუსეთი მოამარაგოს იმ პროდუქტით, რომლის 83% კეთდება რუსეთიდან შემოტანილი რძის ფხვნილით. და ჩვენ უნდა მოვამარაგოთ რუსეთი რძის პროდუქტებით?! ეს სრული სისულელეა!
– სანვაჰის ფასებთან დაკავშირებით რას

იტყვით? გასულ კვირას პრემიერმა მოუწოდა კომპანიებს, დახსნიეთ სანვაჰის ფასები. ეს შესაძლებელია?

– ვერავინ ვერაფერს ვერ დაუნეწს! თუ პრემიერი ამბობს, რომ ნავთობის იმპორტიორებს შეუძლიათ ფასის დაწევა, ე.ი. მან ალია-რა, რომ ნავთობბაზარზე არის მონოპოლიები და კარტელი შეთანხმებები. ნავთობის ფასის კლების გასაღები პრემიერისა და მთავრობის ხელშია. მათ შეუძლიათ დღეს-დღე შემცირება და სააქციზო გადასახადის გაუქმება.

– პრემიერი ამ ორი კომპონენტის შესახებ არ საუბრობს.

– სწორედ ეს არის პრობლემა, რომ ამაზე არაფერს ამბობენ, როდესაც ეს იარაღი მთლიანად მათ ხელშია და გადააბრუნეს და ისრები წაიყვანეს კომპანიებისკენ. ჩემი აზრით, ეს არ არის სამართლიანი, იმიტომ, რომ გასაღები არის მთავრობის ხელში, ხოლო იმპორტიორები თავიდან ბოლომდე დამოკიდებული არიან მოთხოვნა-მიწოდებაზე. რა ფასიც დაჯდება და რა ვალუტის კურსიც იქნება საქართველოში, იმის მიხედვით დგინდება სანვაჰის ფასი. სულ ეს არის. თუ ამას აღიარებენ პრემიერი და მოუწოდებს, რომ დააკლონ, ე.ი. იმასაც აღიარებს, რომ არის მონოპოლიები. თუ ქვეყანაში ქმნი კარტელურ შეთანხმებას, მაშინ ვერ ამაზე იზრუნე. ჩვეულებრივი ნონსენსი იყო ეს განცხადება. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პოპულიზმი.

– გაქვთ მოლოდინი, რომ დაიკლებს ფასი სანვაჰზე?

– არა, რა თქმა უნდა.
– ლარის კურსი ახსენეთ და როგორ ახერხებს ხელისუფლება ლარის კურსის დაჭერას, რა მექანიზმებს იყენებს?

– ეს ძალიან მარტივია. ეროვნულმა ბანკმა რეზერვები გამოიტანა, ივაჭრა, ჩაეშვა სისხტემაში და, როდესაც ბრუნდა მაღალია, ამაზე მოთხოვნა გაჩნდება ძალიან მაღე, იმპორტიორები ამ ფულს აიღებენ და გაიტანენ ქვეყნიდან, რომ შემოიტანონ პროდუქცია და ეს კურსიც ძალიან მაღე წავა მინიმუმ 20 პუნქტით მაღლა დაახლოებით 2-3 კვირაში. ეს არის რეალობა, რომ ლარი მაღე ისევე გაუფასურდება, ან კიდევ 3,08-ზე დაჭერილი კურსი დაჭერილია?!
– 3,5 იყო და ყველაფერი ხომ შედარებითა?

– თუ ასეა, 1,5-ზეც იყო და 1,8-ზეც.
– ხელისუფლება ლარის კურსს იმიტომ იჭერს, რომ კიდევ უფრო მეტად არ გაიზარდოს

ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, პროდუქტებზე და თუნდაც იმავე სანვაჰზე. ამაზე რას იტყვით?

– აქაც საქმე გვაქვს არაპროფესიონალიზმთან, ვინაიდან, იმის ფასწარმოქმნა, რასაც საქართველოში ადამიანები მოვიხმართ, საქართველოში არ ხდება. შესაბამისად, ვერც საქართველოში თავსდება და ვერც ერთი პირი ვერ დაადგენს ვერანაირი ტიპის ფასს. შეუძლებელია, საქართველოდან ვინმემ რაიმე ზეგავლენა იქონიოს ფასზე. ჩვენ მოვიხმართ იმპორტირებულ საქონელს და ფასი აქ როგორ უნდა გააკონტროლონ, რანაირად უნდა იმოქმედოს. ზოგადად გაზრდილი ფასები, ტრანსპორტირება გაძვირდა. მარტში ერთი ლიტრი ზეთი ღირდა 6,50, ახლა ღირს 8,50. აბა, დაიჭირეს ფასი? არ სჭირდება ამას ზედმეტი ფილოსოფიები. ესენი ყველაფერს პოპულისტობენ. დააკვირდით ფასებს, რა ღირდა მარტში და რა ღირს აპრილში.

– გაგრძელება ფასების მატების ტენდენცია?

– რა თქმა უნდა, გაგრძელება. თუ დოლარის კურსს არ ჩამოვიყვან ქვევით, ყოველთვის ასე იქნება, იმიტომ, რომ საქონელს ყიდულობ დოლარში. ეს არის სპორტირებასაც იხილ დოლარში. შენი პრობლემა ინფლაციაა და არა გაზრდილი ფასები. შენ რომ დოლარი გეჯდეს 2,0-ზე და ინფლაცია იყოს 3%-ზე, აქ ასეთი ფასები არ იქნებოდა.

– სიტუაციის გამოსწორების რაიმე გზას თუ ხედავთ? ზოგი ტურისტების ნაკადს ელოდება სიტუაციის გამოსწორებლად. თქვენ რას იტყვით?

– ის ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ტურისტები შემოვლენ, ფულს შემოიტანენ და ამით ინფლაციას დათრგუნავენ, სასწრაფოდ უნდა მოშორდეს ეკონომიკურ სადავეებს, ვინაიდან ის, უბრალოდ, ახლოსაც არ არის ჩავლილი არათუ ეკონომიკასთან, წიგნიც კი არა აქვს ნაკითხული. ამ თვის ბოლოს ინფლაცია 14,5%-ს ყველა შემთხვევაში გადასცდება.

შეშინა
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნანატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57



„აპროკოპიის კითხვარის შევსებას საზოგადოების ჩართულობა სჭირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

მამუკა გიორგაძე: „საქართველოსთვის პრორუსულ ჯგუფებზე უფრო საშიში ის რუსული აგენტურაა, რომელიც ყალბ დასავლურ დროშას აფრიალებს“

საქართველოში შექმნილ ვითარებასა და სხვა საკითხებზე „ახალი თობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს.

– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ უკრაინის ომის ფონზე საქართველოს ხელი-სუფლებამ, ომში ჩაბმის გარდა, სხვა საკითხებზე უნდა იაქტიურდეს. დღეს თუ შეიცვალა რამე ამ მხრივ, გააქტიურდა თუ არა ხელისუფლება?


– ამ ხნის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. საქართველოს ხელისუფლებას იმ აქტიურობას ვერ ვაჩვენებ, რომელიც ქვეყანას ესაჭიროება. სამწუხაროდ, პოლიტიკური ცხოვრება წინასწარ დაგეგმილი სცენარების მიხედვით გრძელდება. ცოტა ხნის წინ იყო 1-კვირიანი აურზაური უკრაინაში წასვლა-არწასვლის თემაზე, შემდეგ – წასვლის ფორმატზე. ისევე ხდება ხალხის ყურადღების გადატანა არაარსებით, გამოგონილ პრობლემებზე.

– საბოლოოდ, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით უკრაინაში შედგა. ამით უკრაინასთან მანამდე არსებული დაძაბულობა არ შენელებოდა?

– ეს იყო ხელოვნურად წარმოქმნილი დაძაბულობა და გაუგებრობები. უკრაინას თავისი პრობლემები აქვს. მისდამი სოლიდარული ვართ, თუმცა ჩვენ ჩვენი უნდა ვიტყვი. პრობლემა მწვავეა. საქართველოს ხელისუფლება, მთელი პოლიტიკური კლასი, არასწორად იქცევა. ხდება ჩვენი სატყვეობის სხვაგან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადატანა.

– კერძოდ?

– ზოგი გაიძახის, რომ საქართველოს ბედს მოსკოვი წყვეტს, ზოგი ამბობს, რომ ჩვენი ბედი დასავლეთმა უნდა გადაწყვიტოს. დასავლეთის რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, გარეუცხოურებო – ანგარიშგასანვივი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი სხვამ უნდა გადაწყვიტოს. საქართველოს ბედი ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბრძოლითა და შრომით. ისიც კი მოვიხსენიებ, რომ ღმერთი გადაწყვეტს ყველაფერს. გამოდის, რომ შენ უნდა წამოწვი და ხელი არ გაანძრიო. ღმერთს ყველაფერი შეუძლია. ღმერთი ყოველს შეძლავს.



მაგრამ მაშინ, თუ კაცის ნებაც იქნება.

– პოლიტიკური კლასი ნებას არ იჩენს და გულხელდაკრეფილია?

– ნაყდება რეგიონის ბედი, მიმდინარეობს ძვრები. ამ დროს საქართველოს პოლიტიკური კლასი დაკავებულია ერთმანეთისთვის ტალახის სროლითა და გამოგონილი პრობლემების აფიშირებით. ევროკომისიისგან მიღებული გეგმაც კითხვარია. ეს არ არის ჩვეულებრივი კითხვები, რომლებსაც „დიას“ ან „არა“-თი უპასუხებ. კითხვარის შევსებას დიდი ანალიზი და საზოგადოების ჩართულობა სჭირდება.

– უკრაინამ თავისი კითხვარი უკვე შეავსო. არის შანსი, რომ მალე საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდეს?

– გამოვიკვირდა, რომ უკრაინამ ასე მალე შეავსო კითხვარი. თუმცა ეს ქვეყანა ცხელი შიშითაა ჩართული და განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ მაინც არ უნდა ვიჩქაროთ. კითხვარი მოიცავს პოლიტიკის, ეკონომიკის, სასამართლოს, სხვა სფეროებს. მისი შევსება მოსწრებაზე არ უნდა იყოს. ეს პროცესი მოითხოვს ანალიზსა და დროს. ავიღოთ სასამართლო, თვითმმართველობა, ტერიტორიული მთლიანობა, საარჩევნო კანონმდებლობა, სახელმწიფო ინსტიტუტები. ამაზე დეტალური მსჯელობა სჭირდება. პროცესი მოითხოვს საზოგადოების კონსოლიდირებას.

– თქვენ თუ აპირებთ თქვენი წინადადებ-

ებისა და ანალიზის წარმოდგენას ევროკავშირის კითხვარის ზოგიერთ საკითხზე?

– მთელი კითხვარის დამუშავებას დიდი დრო და რესურსი სჭირდება. ზოგიერთ საკითხზე მკითხეთ და ამაზე შეგიძლია მუშაობა. ჩვენს წვლილს აუცილებლად შევიტანთ.

– საქართველოში არსებული პრორუსული პრობაგანდა მიმდინარეობს. გააქტიურდნენ და გამოჩნდნენ პრორუსული ჯგუფები, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთი ძლიერდება და იმარჯვებს და მას სანქციები ვერაფერს აკლებს.

– უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების ფონზე დღეს ცივილიზებული სამყარო რუსეთის თავგასულობის შეკავებას ცდილობს. საქართველო რუსეთის თავგასულობის მსხვერპლია. რუსეთის ალვირასხილობას უნდა გამოვეხმავართ. ამისათვის შესაბამისი ფორმები მოსაძებნი. თქვენ მიერ ნახსენები პრორუსული ჯგუფები აცხადებენ, რომ რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ, რომ მასთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ.

რუსეთთან დაახლოებით ოთხასი-ხუთასი წელია, კონტაქტები გვაქვს და არ მინახავს, ვინმეს მასთან ურთიერთობა ისე მოეგვარებინოს, რომ ამას ჩვენთვის ზიანი არ მოეტანოს. ჩრდილოელ მეზობელთან გაგვიფორმებია ხელშეკრულებები, კონტრაქტები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსეთს რომელიმე მათგანი შეესრულებინოს და არ დაერღვიოს. რუსეთი რომ მოსტრია, ამაზე ლაპარაკობდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი. არა მგონია, მათზე უკეთესი ქართველი და პატრიოტი იყვნენ ისინი, ვინც ახლა რუსეთთან ურთიერთობის დაღვებას აპირებს. იმათაც, ვინც ამაზე ლაპარაკობს, ზოგი ორ კაპიკს შიშობს, ზოგი გულწრფელია. საშიში ისაა, რომ ხელისუფლება ამას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ამ პრორუსულ ჯგუფებსა და პარტიებს ხან ღიად და ხან ფარულად მხარს უჭერს.

– ხელისუფლების დისტურის გარეშე ეს ხალხი აქტიურ რუსულ პრობაგანდას ვერ შეძლებდა?

– ბუნებრივია. ის, რაც ახლა ხდება, მეოცე საუკუნის ბოლოს, კომუნისტების დროს,

80-იან წლებშიც არ მინახავს. მაშინ პრორუსული განწყობები, ფაქტობრივად, გაქრა. საქართველოშიც იყო ინტერფრონტის შექმნის მცდელობა. ინტერფრონტს სათავეში ჩაუყენეს ავტორიტეტული ფიგურა, მაგრამ სხვა ვერაფერი აიყოლიეს. მაშინდელი ხელისუფლებაც ვერ ბედავდა პრორუსული ნაბიჯების გადადგმას. პრორუსული ჯგუფები ცუდი მოვლენაა, მაგრამ უფრო სახიფათოც არსებობს. საქართველოსთვის პრორუსულ ჯგუფებზე საშიში ის რუსული აგენტურაა, რომელიც ყალბ დასავლურ დროშას აფრიალებს.

– ცრუ პროდასავლულები საზოგადოებას ატყუებენ?

– მოტყუების გარდა, ისინი ძირს უთხრიან დასავლეთსა და დასავლურ ღირებულებებს. ხალხის ნაწილს ჰგონია, რომ ცუდად დასავლეთის გამო ცხოვრობს, რომ დასავლეთიდან ნებატანი შეშინებულნი ადამიანები ადვილად ეგებიან პრორუსულულებს ანკესს. სინამდვილეში, მათი მდგომარეობა რუსეთიდან მართული ვითომ პროდასავლულების ბრალია. წლებია, ვაყურდებიან პოლიტიკურ სექტაკლებს. ახლაც მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა პრორუსულულებსა და ვითომ პროდასავლულებს შორის. ორივე მიმართულება მოსკოვიდან იმართება.

– რუსეთი საქართველოს პოლიტსექტრის ნაწილის სამართავად მაინც მოიცლის? სექსამსახურების მალაჩინოსნები დააკავებს?

– ერთი თუ დააკავებს, საქართველოზე სხვას მოამარტებენ. უკრაინის ომმა გამოაჩინა რუსეთის კორუფციის მასშტაბი. პუტინს უკრაინაში დაგეგმილი სცენარები არ გამოუვიდა და ჯოხს ამ მალაჩინოსნებზე გადატყეს. ახალი ვინც მოვა, ისიც ფულით ქაშას დაინყებს.

– სანქციები როგორ იმოქმედებს რუსეთზე?

– სანქციებით რუსეთი აუცილებლად დასუსტდება. ეს არის რუსეთის იზოლაციაში მოქცევის ტაქტიკა, რომელიც დასავლეთმა ადრე გამოიყენა. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და 1918 წელს. 1918 წელსაც მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და 1991 წელსაც. სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. ახლა მესამედ გვეძლევა შანსი. საქართველო ამ პროცესებიდან გამარჯვებული უნდა გამოვიდეს და ჩვენ უნდა შეუდგეთ ნამდვილი სახელმწიფოს მშენებლობას.

ომი და სანქციები საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება 10 რეკომენდაცია მთავრობას ეკონომიკის საკითხებზე

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და სფეროს სპეციალისტი საქართველოს მთავრობას ეკონომიკის საკითხებზე 10 რეკომენდაციას სთავაზობს.

„საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კვლევითი ცენტრისა და საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა, თუმცა ეკონომიკური ზრდის ტემპი წლის დასაწყისში პროგნოზირებულზე ნაკლები იქნება.

რამდენად დაზარალებდა საქართველოს ეკონომიკა რუსეთის უკრაინაში აგრესიის გამო შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის შემგვედრ ნაბიჯებზეც არის დამოკიდებული. ამავე დროს, მყარდება სტრატეგიული შესაძლებლობები, კერძოდ კი საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის უფრო ეფექტიანი გამოყენება და საქართველოს ეკონომიკის დასავლეთის ქვეყნებთან ინტეგრაციის დაჩქარება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მათივე შეფასებით, არსებული გამოწვევების საპასუხოდ და შექმნილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად, აუცილებლად მიაჩნიათ შემდეგი რეკომენდაციების პოტენციური მისაღწევა:

ეკონომიკური განვითარების პოტენციალის შესანარჩუნებლად:

1. საქართველოს მთავრობამ ცალსახად და მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ საქართველო არ იქნება გამოყენებული რუსეთზე დაწესებული სანქციების გვერდის ასავლება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში, სანქციები პოლიტიკური საკითხია, დღეს არსებული მოლოდინი, რომ შესაძლოა, საქართველო სანქციების ხელშეწყობის ავლისთვის გამოიყენონ, აზიანებს ქვეყნის რეპუტაციას, რაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვნად შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.
2. ფასების ზრდის საინფლაციური და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის:
3. ვინაიდან ფასების სტაბილიზაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე საკითხია, უნდა გაუქმდეს იმპორტის გადასახადი იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც არ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და იმ ქვეყნების ალტერნატიული მომწოდებლები არიან, რომლებიც ძირითადად რუსეთიდან შემოდის. ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სტაბილური ფასების შენარჩუნებასა და, მეორე მხრივ, იმპორტის დივერსიფიკაციას;
4. მთავრობამ ბიუჯეტის ხარჯები უნდა შეამციროს. პირველ რიგში, ეს უნდა შეეხოს მიმდინარე ხარჯებს და ასევე, იმ პროექტების დაფინანსებას, რომელთა ეფექტიანობა შესწავლილი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის და მთავრობის გაზრდილი ვალის გამო, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი ამჟამად არსებულ გეგმურ მაჩვენებელს, მშპ-ის მიმართ 4.2%-ს არ გადასცდეს. მთავრობამ ეკონომიკური

ხარჯვა მომდევნო წლებშიც უნდა გააგრძელოს, რაც მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას და ფასების სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს.

4. მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა უარყოფით გავლენას მოახდენს რუსეთზე დაკისრებული სანქციები საქართველოს ეკონომიკაზე და ამ ანალიზის საფუძველზე, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვაზე დასავლელ პარტნიორებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებები უნდა დაიწყო. დასავლეთის მხარდაჭერის შემთხვევაში გაგვეზრდება წვდომა დასავლურ ფინანსურ რესურსზე, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგის შემსუბუქებას შეიძლება მოხმარდეს;

5. მნიშვნელოვანია, მთავრობამ გაითვალისწინოს, რომ შექმნილი გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს, როგორც სტრატეგიული ქვეყნის როლი იზრდება და ეს პოტენციალი სრულად იყოს ათვისებული. აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის ევროპის მიმართულებით ტრანზიტისა და შუა აზიის ქვეყნების ტვირთების საქართველოს გავლით გადაზიდვაზე მოთხოვნის ზრდა რეალურია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიული პარტნიორების (საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო) პოტენციალის ხელშეწყობა ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მოდერნიზაციის დაჩქარებით. ასევე, რეგიონული ცენტრების, სატელეკომუნიკაციო, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრების და ტურისტული ობიექტების მშენებლობა-განვითარების ხელშეწყობა;

6. უნდა დაჩქარდეს კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებისკენ მიმართული რეფორმები საინვესტიციო და ბიზნესგარემოს ხელშეწყობისათვის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს გაუჩნდა უნიკალური შესაძლებლობა, რომ იმ დასავლური კომპანიების თუნდაც მცირე ნაწილი მოიზიდოს, რომლებმაც რუსეთი დატოვეს. რუსეთში წარმოებული დასავლური კომპანიების პროდუქცია, როგორც რუსეთს, ისე რეგიონის სხვა ქვეყნებს მიწოდებულია. აღნიშნული კომპანიების მოსაზიდად ასევე აუცილებელია საქართველო არ იყოს გამოყენებული სანქციებისთვის გვერდის ასავლება;

7. საქართველოს შეუძლია, სტრატეგიულად გამოიყენოს ქვეყანაში შემოსულ უკრაინულ ლტოლვილებს შორის არსებული საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები ეკონომიკის



იმ ექსპორტში (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები), სადაც ადგილობრივი პროდუქციის უზარმაზარი ნაკლებობაა. ეს სასარგებლო იქნება როგორც საქართველოს ეკონომიკისთვის, ისე უკრაინული ლტოლვილებისთვის სტაბილური საარსებო პირობების შექმნისთვის. ამისათვის საჭირო იქნება მთავრობის მიერ ბიუროკრატიული ბარიერების გადახედვა, რაც დაეხმარება ხანგრძლივი პერიოდით ჩამოსულ უკრაინულ მიგრანტებს ქართულ შრომის ბაზართან ინტეგრირებაში.

8. საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიურად და დაჩქარებულად უნდა დაიწყო მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებაზე ყველა სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელთანაც ვერ არ გვაქვს ასეთი შეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხელშეკრულებების რეალური ადგილი ეფექტი გრძელვადიანია, დღეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია, უფრო აქტიურად მოითხოვოს სტრატეგიული პარტნიორებისგან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დაწესება. თავისუფალი ვაჭრობის გეოგრაფიული არეალის ზრდა საქართველოს რუსული პროდუქციის იმპორტზე და ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებას შეამცირებს.

9. საქართველოს მთავრობამ და მუნიციპალიტეტებმა ისეთი სამენარჩეო საქმიანობა მაინც არ უნდა დაასუსტიდონ, რაც საქართველოს რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ზრდის. ეს მიდგომა უნდა შეეხოს, როგორც ბიზნესზე გრანტების და შესავალი სესხების გაცემას, ისე ფასის სუსტიდირებას. აღნიშნული წესის დანერგვა საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, რაც საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას ააძლევს;

10. საქართველომ უნდა შეიმუშაოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯიასა და ბუნებრივი აირის საქართველოს შიდა მოხმარებაში მაღალი წილი არ უჭირავს, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთზე დამოკიდებულებები კიდევ უფრო შემცირდეს. ბოლო პერიოდის მოვლენებს კიდევ ერთხელ გავახსენა, რომ რუსეთი ენერგომომარაგების და ელექტროენერჯის ექსპორტს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად იყენებს, რაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას აზიანებს, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიმართ კი მნიშვნელოვან რისკებს აჩენს.



შავი ლომი (საქართველო)-იზრაიელი (ისრაელი) 43:40

შავი ლომი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ესპანური იზრაიელი 43:40 დაამარცხა და 8 მაისს ლისაბონში, პორტუგალიურ ლუზიტანუსთან მთავარ პრიზს გაითამაშებს.

ჩვენი გუნდი ხელდახელ, კომბინაციურ სტილში ცდილობდა ქულების მოპოვებას და რამდენიმე ლამაზი ლელოც გაიტანა, მაგრამ მეტოქე კარგად იყო მომზადებული და ბოლომდე იბრძოლა და რამდენიმეჯერ შეძლო თამაშში დაბრუნება. ქართული ფრენების გეგმები ტრავმებმა არაბა, მაგრამ შეძლო მობილიზება და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

თამაში იზრაიელმა აქტიურად დაიწყო, ჯერ ფორვარდებით შემოგვიტია, მერე ხელდახელ, მაგრამ თავი კარგად დავიცავით. საპასუხოდ, „ლომებმა“ გაშალეს ხაზზე ბურთი და ლელოც გავიდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯამ აუტი დააფიქსირა. შემდეგ გააზრებულ შეტევას უკვე ჩათვლილი ლელო მოჰყვა: თენგიზ პერანოვიჩი სივრცე შენიშნა და შეუტია, შემდეგ ფაზაში ნიკო აფციაურმა ხაზი „გაგლიჯა“ და მიზანს უწია, გორგი ბაბუნაშვილმა გარდასახა. განახლდა თუ არა თამაში, აფციაურმა კიდევ ერთხელ გაჭრა ხაზი, მერაბ შარიქაძემ ბურთი კიდევ უფრო წინ წასწია და 22-ში ლრმაღ შევიდა, მაგრამ შემდეგმა პასმა არ ივარგა და მეტოქე 100%-იან ლელოს გადაარჩა.

მეტოქემ ჯარიმით გვიპასუხა, მე-20 წუთზე კი ხაზის კარგი კომბინაციით მეორე ლელო გავიდა. ხმალიაქემ სიქარაგავერდილ შარიქაძეს ბურთი საქირი დროს გაატანა და კაპიტანმა 35-მეტრიანი აჩქარება ლელოთი დაასრულა. ბაბუნაშვილმა გარდასახა - 14:3.

ამას ერთგვარი ჩავარდნა და მეტოქის 17 ქულა მოჰყვა. პერანოვიჩის კარგი ბოჭვის მიუხედავად, პირველი ლელო მალე მივიღეთ. იზრაიელმა გარდასახვის შემდეგ ჯარიმაც გაიტანა, 30-ე წუთზე კი, არახუსტი პასის შემდეგ, კონტრშეტევა წამოიწყო, ლელოს გარდასახვა მოჰყვა და მეტოქე 6 ქულით დაინაშურდა.

თამაში განახლდა თუ არა, შავი ლომმა ინიციატივა დაიბრუნა. პირველი ბურთის ალბის შემდეგ ხმალიაქემ ცენტრიდან დაიძრა, ხაზი 2-ჯერ გაჭრა და ინდივიდუალური გარღვევა ძელებს შუა ლელოთი დაასრულა. მალე შავმა მამუკაშვილმა ქრახზე დეჟე თავლაძემ შეუშვა, მაგრამ გაგრძელებამ ვერ ივარგა. ტაიმის ბოლოს ქართველებმა მოლით რამდენიმეჯერ შეუტეს და ჯერ კალთხალო გავიდა დაიხსნა სინინით, მერე მამუკაშვილმა ლელო გაიტანა. ბაბუნაშვილი გარდასახვიდან ზუსტი იყო - 26:20.

მე-2 ტაიმის დასაწყისში კაცნაკ-ლელო იზრაიელმა ჩვენი შეცდომით ისარგებლა, სახიფათოდ შემოგვიტია, თავი ჯარიმის ხარჯზე დავიცავით და მეტოქემ ახლოდან 3 ქულა აიღო. 49-ე წუთზე ესპანელებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან კარგი მოლი ააგორეს და ლელოთი დაინაშურდნენ. რთული პოზიციიდან გარდასახვა ზუსტი იყო. 54-ე წუთზე ლუკა ივანიშვილი დაშვდა და, რადგან თორნიკე აქუტაძე რაგბი უკვე შეცვალა შესული იყო, მისი პოზიციის კვატმა თენგიზ ზამთარაძემ დაიკავა. მიუხედავად ამისა, 58-ე წუთზე „ლომებმა“ კარგი მოლი ააგორა, საჯარიმო ლელო გამოიმუშავა და ლიდერობა კიდევ ერთხელ დაიბრუნა - 33:30.

მასპინძლებმა ძალაში უპირატესობა იკრძნეს, მე-60 წუთზე 5-მეტრიანი დერეფნიდან კიდევ ერთი მოლი ააგორეს და, მეტოქის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მამუკაშვილმა ბურთი ლელოში დაამინა. სემ კაისმა 65-ე წუთზე ჯარიმით ჩამორჩენის შემცირების შანსი ხელიდან გაუშვა, მაგრამ შემდეგ ეპიზოდში უკეთესი პოზიციიდან ზუსტი იყო და დასკვნით ფაზაში სიტუაცია დაიძაბა. 75-ე წუთზე მეტოქეს ჩვენი 22-ის ხაზთან რაქიდან ამოვაცალეთ ბურთი. ის სწრაფად ჩათამაშდა ფრთაზე, ხმალიაქემ გაიტაცა



და ფეხით გადაჰკიდა, ალექსანდრე თოდუა ის მეტოქის 22-ში აიღო, შეტევა ხმალიაქემ გააგრძელა და ერთი პასით ლელო ლაშა ლომიძეს გაატანინა - 43:33.

იზრაიელმა ბოლო შეტევისას შეძლო კიდევ ერთი ლელოს გატანა, გარდასახვაც ზუსტი იყო და სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ მოლიანობაში ამან არაფერი შეცვალა, რადგან დრო ამოიწურა...

მიგულ ველასკო:

ესპანურმა რაგბიმ უკვე გადაასწორო რუმინებს, რუსეთს და ახლა ჩვენი მიზანია, გავუთანაბრდეთ საქართველოს. აქედან გამომდინარე, ეს იყო შესაძლებლობა, გვეთამაშა საქართველოს სანაკრებო მოთამაშეების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში შავი ლომის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, თამაშით კმაყოფილი ვარ. ლუზიტანუსში საკმაოდ კარგი გუნდია. ძლიერია კონტრშეტევისას, უფროსი ბურთის ფრთაზე გადატანა, ნებისმიერი წერტილიდან იწყებს შეტევას, მაგრამ, შავი ლომის თამაშიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ფინალში ფავორიტი სწორედ ქართული ფრენა იქნება.

კალკოლო გავიდა:
- მთელი გულით ვითამაშეთ და, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად ცოტა დრო გვქონდა, ხასიათი გამოვავლინეთ. იყო მომენტები, როდესაც თითქოს თამაში გარდატეხის შეტევა შევქელით, მაგრამ მეტოქე გუნდის დონემ ჩვენი შესაძლებლობის ბოლომდე გამოყენების შანსი არ მოგვცა.

ლეონ მისაშვილი:

- მეტოქე საკმაოდ კარგი გუნდი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან კარგად ითამაშა, სერიოზული წინააღმდეგობა გავგინიეს და რიგ ეპიზოდებში პრობლემები შევქექნა. სპეციფიკიდან გამომდინარე, ნახევარფინალი ყოველთვის დაძაბულია, მაგრამ პირველ ტაიმში რამდენიმეჯერ არ გავიმართლა. ის ეპიზოდები რომ გამოგვეყენებინა, სხვა სურათი გვექნებოდა. მე-2 ტაიმშიც დავუშვით რამდენიმე შეცდომა, მაგრამ მთლიანობაში მიმაჩნია, რომ ცუდად არ გვითამაშა. მთავარია, მიზანს მივალწიო. არის თამაშები, სადაც 7 მილებული ქულაც ბევრია. 40 ბევრი იქნებოდა, მეტოქეზე ნაკლები რომ გავგეტანა. რაც უფრო მეტ ასეთ თამაშს ვითამაშებთ, მით უკეთესი. ფინალში მარტივად რომ გავსულიყავით, მოტივაცია და მობილიზება ისეთი ძალიან არ იქნებოდა, როგორც ახლა იქნება.

მერაბ შარიქაძე:

- როგორც იზრაიელმა ჩვენ წინააღმდეგ ითამაშა, ისე მაგრად არავის უთამაშია. შეიძლება, აღმოსავლეთ კონფერენციის ნებისმიერმა წარმომადგენელმა იზრაიელს დაამარცხო, მაგრამ ესპანელებს ჩვენთან განსაკუთრებული მონდომება ეტყობოდათ. დიას, შეცდომები დავუშვით, მაგრამ ამ შეცდომებს გამოყენება უნდა და ეს მათ შეძლეს. მოუშვადლებელი არ ვიყავით, მაგრამ მათი თამაში ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

შედეგები

17 აპრილი
ფაზაშენი

ინგლისი. ირის თასი 2:0
ჩელსი-კრ.პალასი 2:0

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ბრომვიჩი 1:1
ნიუკასლი-ლესტერი 2:1

სატურნო ცხრილი:

1. სიტა	31	23	5	3	72-20	74
2. ლივერპული	31	22	7	2	79-22	73
3. ჩელსი	30	18	8	4	64-23	62
4. ტოტენჰემი	32	18	3	11	56-38	57
5. მანჩესტერი	32	15	9	8	52-44	54
6. არსენალი	31	17	3	11	45-37	54
7. ვესტ ჰემი	33	15	7	11	52-43	52
8. ვულვეზი	32	15	4	13	33-28	49
9. ლესტერი	30	11	7	12	46-50	40
10. ბრაიტონი	32	9	13	10	29-37	40
11. ბრენტფორდი	33	11	6	16	41-49	39
12. საუთჰემპტონი	32	9	12	11	38-52	39
13. კრ.პალასი	31	8	13	10	43-40	37
14. ნიუკასლი	32	9	10	13	36-55	37
15. აბერდენი	31	11	3	17	42-46	36
16. ლიდსი	32	8	9	15	38-68	33
17. ვეგერტონი	30	8	4	18	33-52	28
18. ბარნლი	31	4	13	14	26-45	25
19. უოტფორდი	32	6	4	22	30-62	22
20. ნორვიჩი	32	5	6	21	22-66	21

გეჰმანია. ბუნდესლიგა

არმინია-ბაიერნი 0:3
უნიონი-აინტრახტი 2:0
ჰოფენჰაიმი-ფურტი 0:0
ლევერკუზენი-ლაიფციგი 0:1

სატურნო ცხრილი:

1. ბაიერი	30	23	3	4	89-29	72
2. დორტმუნდი	30	20	3	7	76-43	63
3. ლაიფციგი	30	16	6	8	65-31	54
4. ლევერკუზენი	30	15	7	8	68-43	52
5. ფრაიბურგი	30	14	9	7	49-34	51
6. უნიონი	30	13	8	9	40-39	47
7. კოლნი	30	12	10	8	44-44	46
8. ბოფენჰაიმი	30	13	6	11	50-45	45
9. მაინცი	30	11	6	13	43-36	39
10. აინტრახტი	30	10	9	11	40-42	39
11. გლადახაი	30	10	7	13	42-55	37
12. ბოხუმი	30	10	6	14	30-43	36
13. ვოლფსბურგი	30	10	4	16	34-51	34
14. აუგსბურგი	30	8	8	14	34-47	32
15. პერტა	30	8	5	17	32-66	29
16. შტუტგარტი	30	6	10	14	36-53	26
17. არმინია	30	5	11	14	23-46	26
18. ფურტი	30	3	8	19	24-72	17

გეჰმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ვერდერი-ნიურნბერგი 1:1
ჰანზა-რეგენსბურგი 1:1
დარმშტადი-შალკე 2:5
ინგოლშტადი-პადერბორნი 0:1
ჰაიდენჰაიმი-აუე 0:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ლევანტე 1:4
ატლეტიკო-ბილბაო 2:1
ბილბაო-სელტა 0:2
სევილია-რეალი 2:3

სატურნო ცხრილი:

1. რეალი	32	23	6	3	66-28	75
2. ბარსელონი	30	17	9	4	60-31	60
3. სევილია	32	16	12	4	46-25	60
4. ატლეტიკო	32	18	6	8	59-39	60
5. ვალენსია	32	17	6	9	56-37	57
6. სოციედადი	32	15	10	7	32-30	55
7. ვილიარეალი	32	13	10	9	51-31	49
8. ბილბაო	32	11	12	9	36-32	45
9. ოსასუნა	32	12	8	12	33-41	44
10. ვალენსია	32	10	12	10	44-46	42
11. სელტა	32	10	9	13	36-35	39
12. ესპანოლი	32	10	9	13	37-44	39
13. ელჩე	32	9	8	15	35-44	36
14. რაიო	31	9	7	15	32-38	34
15. ხეტაფე	32	7	11	14	29-37	32
16. გრანადა	32	6	11	15	36-56	29
17. მალიორკა	32	7	8	17	27-53	29
18. კადისი	31	5	13	13	26-43	28
19. ლეგანესი	32	5	10	17	39-62	25
20. ალკანესი	32	6	7	19	25-53	25

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

პონფერადინა-ლუგო 3:1
ბურგოსი-იბიცა 2:1
ტენერიფე-ფუენლაბრადა 3:1
უესკა-სარაგოსა 1:1

საფხანეთი. ილია 1

ნიცა-ლორიანი 2:1

მეცი-კლერმონი 1:1
მონპელიე-რეიმსი 0:0
ნანტი-ანჟე 1:1
ტრუა-სტრასბური 1:1
ლიონი-ბორდო 6:1
საუ-მარსელი 2:1

სატურნო ცხრილი:

1. სესი	32	23	5	4	72-30	74
2. მარსელი	32	17	8	7	52-31	59
3. რენი	32	17	5	10	69-34	56
4. ნიცი	32	16	7	9	42-28	54
5. მონპელიე	32	15	8	9	50-34	53
6. სტრასბური	32	15	10	7	53-34	53
7. ლანსი	32	14	8	10	50-41	50
8. ლიონი	32	13	11	8	50-41	49
9. რილი	32	12	12	8	40-38	48
10. ნანტი	32	13	8	11	41-35	47
11. მონპელიე	32	12	6	14	44-44	42
12. ბრესტი	32	10	9	13	40-47	39
13. რეიმსი	32	8	13	11	34-35	37
14. ანჟე	32	8	10	14	36-46	34
15. ტრუა	32	8	9	15	30-45	33
16. ლორიანი	32	7	10	15	32-52	31
17. სტ.ეტენი	32	7	9	16	35-62	30
18. კლერმონი	32	7	8	17	32-61	29
19. პორლი	32	5	11	16	42-77	26
20. მეცი	32	4	12	16	29-58	24

პოხუგანია. პრიმერა დივიზიონი

სორტინგი-ბენფიკა 0:2
პოლანდია. თასი ფინალი

მსკ-აიქსი 2:1

ავსტრალია. ბუნდესლიგა

აუსტრალია-ზალცბურგი 1:2
შტუტგარტი-რაიონი 1:1
ვოლფსბერგერი-კლაგენფურტი 1:2

შოტლანდია. ტასი

სელტიკი-რინჯერსი 1:2(დდ)

თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-გაზინთეპი 4:1
ქასიმფაშა-ადანა 4:0
გირესუნი-ბუშეჟიაში 0:0

ჩეხეთი. 1 ილია

პლზენი-ბანიკი 2:1
პრადეკ კრალოვე-ვიტეპი 3:0
ჩესკე-ბოჰემიანი 1905 2:1
ზლინი-ბოლესლავი 1:2
პარდუბი-ცეტკოვიცე 2:0
ლიბერეცი-პარვიზა 2:1
სპარტაკ-სლოვაკო 3:1
იაბლონეცი-სლავია 1:2

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ოდენსე 1:1

შვედეთი. ადვენსკა

კალმარი-დეგერფორსი 2:0
მალინო-აიკი 3:0
სირიუსი-ჰელსინგბორგი 1:0
პაკენი-გიოტებორგი 0:2
ელფსბორგი-ვერამო 4:1

მთაშადა მისიელ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას
„გაღვიძების ნიღბი“ ათასი მორჩენილი
კასიანების საბავშვო დახმარების ინსტიტუტი

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის განმეხდა.

გაღვიძების ნიღბი რეცეპტი ათასობითა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა ნიტიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადა ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიწერა და თმა გაცილებით ხშირად გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოთ ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხევა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემიშუტდა ხევა, გულიც აღარ მეღებოდა. 5-6 დღის შემდეგ ძოლიც გამოიშუტდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა პაიპორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძობს.

დედასწავლების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულმარვათს (იყოგას), ლამარა თოდუას გამმწმენდი სითხეებით პრობლემა მოუხსნებიათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მალამოების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ - „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორციებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირებისა და ლაქების გაწმენდას.

მისამართი: საბურთალო, მთარა ქილაქის 166.
მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ხოსვოხი ბ

შეუღალა: 1. სამხედრო ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. სრული მარცხი; 3. ლია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიურ ქვეყნებში; 4. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. თავდაზნაურთა წინამძღვარი ძველად საქართველოში; 14. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 15. ლათინური ანბანის პირველი ასო; 17. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 18. ერთმნიშვნელოვანი ოპერაში.

თარაზულად: 6. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 7. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 8. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 10. ქალაქი ესტონეთში; 11. „შანაშანს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 19. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 20. რაიონული ცენტრი საინჯროლოში.

შეადგინა თ. კობაღიშვილი

	1	2	3	4	5
6			7		
8					
			9		10
11					

